საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2025

სარჩევი

1. შესავალი 3
2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა 4
   2.1. დაწესებულების თანამშრომლების მიერ ძალადობა 4
   2.2. პატიმართა შორის ძალადობა 4
   2.3. პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა 5
3. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორები 6
   3.1. მინიმალური სტანდარტების შეუსაბამო პირობები 6
      3.1.1. მატერიალური პირობები (ფიზიკური გარემო) 6
      3.1.2. კვება 7
   3.2. რეჟიმი, დღის განრიგი, რეაბილიტაცია, დასაქმება 8
   3.3. პატიმრების სტანდარტების შეუსაბამო და საფრთხის შემცველ პირობებში გადაყვანა 11
   3.4. სამედიცინო მომსახურება 14
      3.4.1. სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობა 14
      3.4.2. ფსიქიკური ჯანმრთელობა 19
   3.5. კონტაქტი გარე სამყაროსთან 20
   3.6. გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები 22
4. განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები 23
   4.1. არასრულწლოვნები 23
   4.2. ორსული ქალები 24
   4.3. ბრალდებული ქალები 25
   4.4. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები 26

1. შესავალი

საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, რომ ქალი პატიმრები განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან. „ბანგკოკის წესების“ [1] მთავარი სულისკვეთება ქალთა მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება, მათი სპეციალური საჭიროებების აღიარება და გათვალისწინებაა.

საქართველოში ქალი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მოთავსება ხდება მხოლოდ N5 (ქალთა) პენიტენციურ დაწესებულებაში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი).[2] 2024 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ ქალ მსჯავრდებულებს არ აქვთ შესაძლებლობა, განთავსებული იყვნენ ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს და გასცემს რეკომენდაციას დასავლეთ საქართველოში ქალთა მცირე დაწესებულების მოწყობის შესახებ.[3] ცხადია, ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ქვეყანაში პატიმრობის და სასჯელის მოხდის კიდევ ერთი ადგილის შექმნასთან ერთად, ნაკლები ყურადღება დაეთმოს არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას, პირიქით, რეკომენდაციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არასაპატიმრო სასჯელების და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების, სასჯელის მოხდის ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმების აქტიურად გამოყენების პარალელურად.

ამის საპირისპიროდ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში, საქართველოში შეინიშნება ქალ პატიმართა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. ასე მაგალითად, თუ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქალ პატიმართა რაოდენობა 258-ს შეადგენდა 2025 წლის 31 ივლისის მდგომარეობით[4], ქალ პატიმართა რაოდენობა[5] 452-მდე[6] გაიზარდა.[7]

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა [8] N5 პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული ვიზიტები 2025 წლის 21, 22 და 23 ივლისს განახორციელა. წინამდებარე ანგარიში ეფუძნება პრევენციული ვიზიტების დროს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებთან და დაწესებულების თანამშრომლებთან გასაუბრებას, დაწესებულებაში წარმოებული

---

[1] ,,გაეროს წესები ქალ პატიმრებთან მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/65/229, მიღებული 2010 წლის 21 დეკემბერს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/united-nations-rules-treatment-women-prisoners-and-non-custodial [ბოლოს ნანახია 24.10.2025].

[2] პატიმართა განთავსების დადგენილი ლიმიტი 867-ს შეადგენს.

[3] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში, გვ. 77-78, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf [ბოლოს ნანახია 24.10.2025].

[4] 2025 წლის 21 ივლისს N5 დაწესებულებაში ვიზიტის დროს სულ 427 პატიმარი ქალი იყო, აქედან 337 მსჯავრდებული, 90 ბრალდებული, 6 არასრულწლოვანი, 9 ორსული, 2 დედა მცირეწლოვან ბავშვთან ერთად და 3 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი.

[5] მონაცემები ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, 2025 წლის ივლისის თვის მონაცემები < https://www.geostat.ge/media/73261/danarti_ivlisi_2025.pdf > [ბოლოს ნანახია: 17.10.2025]

[6] განთავსების პროცენტული მაჩვენებელი განთავსების დადგენილ ლიმიტთან მიმართებით - 48.8 %.

[7] 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით N5 დაწესებულებაში სულ – 301 პატიმარი იყო, 2022 წელს, იმავე პერიოდში – 326, 2023 წელს – 342, ხოლო 2024 წელს- 394.

[8] სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგელობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) თანამშრომლებთან და ექსპერტებთან (ექიმი, სოციალური მუშაკი) ერთად ასევე შედიოდნენ სახალხო დამცველის გენდერის, ბავშვის უფლებათა, ანალიტიკური და სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამოქალაქო და კულტურულ უფლებათა დეპარტამენტების თანამშრომლები.

დოკუმენტაციის შესწავლის, მატერიალური პირობების შემოწმებისა და დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების უშუალო დაკვირვების შედეგებს, ასევე, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზს.

2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

2.1. დაწესებულების თანამშრომლების მიერ ძალადობა

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული ვიზიტის დროს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის შესახებ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ინფორმაცია არ მიუღიათ. პატიმრების ძირითადი ნაწილი თანამშრომლების მხრიდან დადებით დამოკიდებულებაზე მიუთითებდა. რამდენიმე შემთხვევაში, პატიმრებმა განაცხადეს, რომ დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან, ადგილი ჰქონდა ყვირილის, უხეში და დამამცირებელი მიმართვის ფაქტებს.

საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ მნიშვნელოვანია, პენიტენციური დაწესებულების ყველა თანამშრომელი პატიმრებთან ურთიერთობისას იცავდეს ეთიკის ნორმებს და იჩენდეს ემპათიურობას, რაც ხელს შეუწყობს პატიმრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კრიზისული სიტუაციების რისკების შემცირებას.

2.2. პატიმართა შორის ძალადობა

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებაში პერიოდულად ადგილი აქვს პატიმართა შორის კონფლიქტის შემთხვევებს. კონფლიქტების შესახებ ინფორმაცია ასევე მითითებულია დაწესებულებაში წარმოებულ დოკუმენტაციაში. ხშირია პატიმრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირების შემთხვევები, ხოლო იშვიათია - ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები. ფიზიკური დაპირისპირების დროს დაწესებულების თანამშრომლები დროულად მოქმედებენ და პატიმრებს ერთმანეთისგან განაცალკევებენ. მიღებული ინფორმაციის თანახმად, კონფლიქტში მონაწილე პატიმრებს ეკისრებათ დისციპლინური სახდელები ან/და მათი გადაყვანა ხდება დახურული ტიპის საკანში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, პატიმართა შორის კონფლიქტები ძირითადად განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის, იმით, რომ პატიმრების საკნებში განაწილებისას, სათანადო ყურადღება არ ექცევა პატიმრების პიროვნულ თვისებებს, ჩვევებს, ქცევას და რისკებს. ასე მაგალითად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე შემთხვევაში, ნახევრად ღია ტიპის კორპუსებზე მცხოვრებმა პატიმრებმა მიმართეს დაწესებულების თანამშრომლებს, რომ თანამესაკნესთან კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, გადაეყვანათ სხვა საკანში, თუმცა მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა და საბოლოოდ პატიმრებს შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება.

დაწესებულების პატიმრობისა და დახურული ტიპის განყოფილებაში[9] და შიდა კლასიფიკაციის საკნებში[10] ერთად არიან განთავსებულები ბრალდებულები და მსჯავრდებულები, მწეველები და არამწეველები, ასევე სხვადასხვა რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, პიროვნული თვისებების და გამოცდილების მქონე პატიმრები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში მათ შორის კონფლიქტის და ძალადობის მიზეზი ხდება. პატიმართა შორის კონფლიქტის მიზეზი ძირითადად ხდება საყოფაცხოვრებო საკითხებზე, მაგალითად, სასურველი სატელევიზიო არხის ყურების, საკანში სისუფთავის დაცვის, მუსიკის ხმამაღლა მოსმენის გამო. იშვიათ შემთხვევებში პატიმართა შორის დაპირისპირება გამოწვეულია ეთნიკური, რელიგიური და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, პატიმართა შორის დაპირისპირებების მაპროვოცირებელი ფაქტორია ასევე ის, რომ ბრალდებულთა ერთ ნაწილი იძულებული ხდება რუტინულად დაეხმაროს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით, სიგარეტით და საკვებით ახლად შესახლებული ბრალდებულებს.[11]

2.3. პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებიდან დროებით გაყვანის და დაბრუნების დროს ტარდება ერთნაირი შემოწმების პროცედურა, რაც გულისხმობს ტანსაცმლის გაუხდელად სკანერის აპარატით და იმავე სქესის ადამიანის მიერ ხელით ზედაპირულად შემოწმებას. რაც შეეხება დაწესებულებაში პირველად შესახლებას და სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანას, სხეულის დათვალიერება ძირითადად ხდება ტანსაცმლის ნაწილ-ნაწილ გახდით. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მხოლოდ ორ შემთხვევაში მიიღო ინფორმაცია დაწესებულებაში შესახლებისას სრული შემოწმების დროს, ტანსაცმლის მთლიანად გახდის და ბუქნების გაკეთების მოთხოვნის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებული ცვლილებებით, მკაფიოდ აიკრძალა პირადი სრული შემოწმებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული გაშიშვლება.[12] რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა. განხორციელებული ცვლილებების ფონზე, მნიშნელოვანია, სრულად იქნას აღმოფხვრილი პატიმრის სრული გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების პრაქტიკა.

---

[9] 2025 წლის 21 ივლისს, N5 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ამ განყოფილებაში იყო 67 პატიმარი, აქედან 46 ბრალდებული და 21 მსჯავრდებული.

[10] 2025 წლის 21 ივლისს, N5 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, შიდა კლასიფიკაციის საკნებში მოთავსებული იყო 51 პატიმარი, აქედან 44 ბრალდებული და 7 მსჯავრდებული.

[11] დეტალურად იხილეთ ბრალდებულთა მდგომარეობის თავი.

[12] აქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანება
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ. მუხლი 22 (9).

3. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორები

3.1. მინიმალური სტანდარტების შეუსაბამო პირობები

პენიტენციური დაწესებულების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ადმინისტრირება უპირველეს ყოვლისა უნდა ეფუძნებოდეს ნორმალიზაციის პრინციპს, რაც გულისხმობს დაწესებულებაში არსებული პატიმრობის პირობების მაქსიმალურ მიახლოებას დაწესებულების გარეთ არსებულ პირობებთან, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით.[13] პატიმრობის პირობები თავისი არსით მოიცავს პენიტენციურ დაწესებულებაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, მათ შორის მატერიალურ გარემოს და კვებას, ასევე დღის რეჟიმს, პირად სივრცეს და ავტონომიას, განათლების, სოციალური კონტაქტების შემენის/შენარჩუნების შესაძლებლობებს და სხვა. ქალთა პენიტენციურ დაწესებულებებში დამატებით გასათვალისწინებელია გენდერ სპეციფიური საჭიროებები.

სამწუხაროდ, პატიმრობისა და დახურული ტიპის განყოფილებაში არსებული პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პატიმრობას და სასჯელის მოხდას ღირსეულ პირობებში. ამ განყოფილებაში მოთავსებულ ქალ პატიმრებს უკიდურესად შეზღუდული აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტი, ხელი არ მიუწვდება სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობებზე, და დღის განმავლობაში, 23 საათს საზრისიანი აქტივობების გარეშე ატარებენ.

3.1.1. მატერიალური პირობები (ფიზიკური გარემო)

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ეტაპობრივად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები [14] , საცხოვრებელ საკნებში არის ბუნებრივი და ხელოვნური განათება და უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობა. დაწესებულების „B“ საცხოვრებელი კორპუსის საკნებში დამონტაჟებულია კონდიციონერები.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს, პატიმართა საცხოვრებელ საკნებში და სველ წერტილებში არ ფუნქციონირებდა ცენტრალური ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. პატიმრების გარკვეული ნაწილი საცხოვრებელი საკნების გასაგრილებლად იყენებდა ვენტილატორებს[15], თუმცა მაღალი სიცხის პირობებში ეს არასაკმარისი საშუალება იყო. ამდენად, ასეთ დროს დგება კონდიციონერის გამოყენების აუცილებლობა.

---

[13] ციხის ევროპული წესები, წესი 5, ნელსონ მანდელას წესები, წესი 4.

[14] სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა საცხოვრებელ საკნებსა და სველ წერტილებში.

[15] ვენტილატორების შემენა შესაძლებელი იყო დაწესებულების მაღაზიაში. პატიმართა ნაწილი ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებდა მის შემენას. პატიმრები ასევე საუბრობდნენ მაღაზიაში ვენტილატორების პერიოდულ დეფიციტზე.

ზოგადად, დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა, ზოგიერთ საცხოვრებელ საკნებში, არ იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, შეიმჩნეოდა ნესტის კვალი, ასევე გავრცელებული იყო ტარაკნები და მწერები[16].

ვიზიტის დროს, დაწესებულების შიდა კლასიფიკაციის 2 საკანში (თითოეულში 4 ბრალდებული იყო მოთავსებული) მყოფი პატიმრები არ იყვნენ უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. პირადი საცხოვრებელი ფართით[17]. აღნიშნულ სივრცეში არსებულ 2 საკანში, საკნების ფართის უმეტესი ნაწილი საწოლებს ეკავა და საწოლებს შორის მხოლოდ მცირე გასავლელი ადგილი იყო დარჩენილი. საკანში თავისუფლად გადაადგილება შეუძლებელი იყო.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს მოძველებულ და დაზიანებულ საკნებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება**
- **უზრუნველყოს საკნებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემის გამართული მუშაობა**
- **უზრუნველყოს საკნებში კონდიციონერების დამონტაჟება**
- **თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით**
- **უზრუნველყოს საკნების ფანჯრებზე მწერების დამცავი ბადის გაკვრა**

3.1.2. კვება

დაწესებულებაში მოთავსებული სრულწლოვანი პატიმრებისთვის გათვალისწინებულია სამჯერადი, არასრულწლოვანი პატიმრებისთვის კი ოთხჯერადი კვება. მენიუებში კვირაში რამდენჯერმე გათვალისწინებულია ხილი, [18] უმეტესად ვაშლი. [19] ექიმის დანიშნულების შესაბამისად ხელმისაწვდომია დიეტური მენიუები. პატიმართა ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა საკვებთან დაკავშირებით, კერძოდ, უთითებდნენ რომ საკვები ცხიმიანია და მენიუ ერთფეროვანი. სამწუხაროდ, საკვების მომზადებისას კვლავ არ არის გათვალისწინებული კულტურული, რელიგიური და ეთნიკური საჭიროებები.

დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს მაღაზიის როგორც საკვები პროდუქტებით ასევე საყოფაცხოვრებო ნივთებით მომარაგება და მაღაზიასთან არსებული რიგები. ხშირად პროდუქტების რაოდენობა არასაკმარისია და რიგში დიდი ხნის დგომის შემდეგაც პატიმრები ვეღარ ახერხებენ მათთვის სასურველი პროდუქტების შეძენას, რადგან მარაგები ამოწურულია. საყურადღებოა, რომ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს აღარ აქვთ უფლება ამანათის სახით

[16] საცხოვრებელი საკნების ფანჯრებზე არ იყო მწერებისგან დამცავი ბადე.
[17] შიდა კლასიფიკაციის 2 საკანში, სადაც თითოეულში 4 პატიმარი იყო მოთავსებული.
[18] როგორც სრულწლოვან პატიმართა, ისე არასრულწლოვან და ორსულ და მეძუძურ ქალთა მენიუებში.
[19] იშვიათ შემთხვევებში, სეზონურად, ატამი ან ვაშლატამა.

მიიღონ თაფლი, სასმელი (ქარხნული წესით დალუქული მინერალური წყლები და უალკოჰოლო გაზიანი სასმელები შეფერილობის გარეშე), დაშვებულია მხოლოდ 6 სახეობის ხილი.[20]

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **საკვების მომზადების დროს გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები**
- **შეისწავლოს დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება**

3.2. რეჟიმი, დღის განრიგი, რეაბილიტაცია, დასაქმება

<u>რეჟიმი</u>

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციით, დაწესებულებაში მოქმედებს დაუწერელი წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა, მათი შემოღება კი განაპირობა წარსულში მომხდარმა სხვადასხვა შემთხვევებმა [21] . სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და ეფუძნებოდეს პატიმრის ინდივიდუალური რისკის შეფასებას. დაუშვებელია ცალკეული შემთხვევების გამო, შეზღუდვები გავრცელდეს ყველა პატიმრის მიმართ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, რომ სავარაუდოდ ადგილი აქვს პატიმრების მიმართ არაფორმალური დასჯის შემთხვევებს,[22] რა დროსაც ხდება პირადი ნივთების, ტანსაცმლისა და თეთრეულის ჩამორთმევა, [23] ასევე არასრულწლოვანთა შიდა კლასიფიკაციის საკანში გადაყვანა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინიტრს:

- **სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, შეისწავლოს N5 იმ წესების არსებობის საკითხი, რომელთაც არ აქვთ სამართლებრივი საფუძველი და მოახდინოს თანმდევი რეაგირება**
- **სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, შეისწავლოს N5 დაწესებულებაში არაფორმალური დასჯის სავარაუდო შემთხვევები და მოახდინოს თანმდევი რეაგირება**

<u>დღის განრიგი</u>

---

[20] მოქმედი დებულებების თანახმად, ამანათის სახით შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ხილის მიღება: ვაშლი, მსხალი, ატამი, ვაშლატამა, მანდარინი და ფორთოხალი.

[21] თვითდაზიანება, სხვისი დაზიანება, პატიმართა შორის კონფლიქტები და სხვა.

[22] როგორც სრულწლოვანი პატიმრების, ასევე არასრულწლოვანი პატიმრების შემთხვევაში.

[23] აღნიშნული ეხება როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან პატიმრებს.

N5 დაწესებულებაში ბრალდებულები და მსჯავრდებულების ნაწილი (პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში) 23 საათს საკანში ატარებს, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებს (ნახევრად ღია ტიპის განყოფილებაში) უფლება აქვთ საკნის გარეთ იმყოფებოდნენ დღის საათებში [24] . დაწესებულების პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში მყოფი პატიმრები 1 საათით გაჰყავთ მცირე სასეირნო სივრცეში, რომელიც ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია ბეტონის მაღალი კედლებით და ზემოდან დაფარებული აქვს გისოსები. ამ სივრცეებში არ არის შექმნილი მასტიმულირებელი, განტვირთვისა და სათანადო ფიზიკური ვარჯიშისთვის[25] საჭირო პირობები. ამასთან, ზაფხულში დგება ძალიან ცხელი ჰაერი. შესაბამისად, პატიმართა გარკვეული ნაწილი უარს აცხადებს ამ სივრცეებით სარგებლობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სასეირნო სივრცეები მოეწყოს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სათანადო ფიზიკური ვარჯიში, განტვირთვა და რეკრეაცია. გარდა ამისა, პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ყოველდღიურად, 1 საათზე მეტი ხნით ისარგებლონ ამ სივრცეებით.[26]

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინიტრს:

- **უზრუნველყოს პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილების და ასევე შიდა კლასიფიკაციის საკნებისთვის განკუთვნილი სასეირნო სივრცეების მოწყობა ისე, რომ შესაძლებელი იყოს ფიზიკური ვარჯიში, განტვირთვა და რეკრეაცია**
- **პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილების და ასევე შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე**
- **პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში და ასევე შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფ ყველა პატიმარს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლონ სავარჯიშო ინვენტარით**

<u>რეაბილიტაცია</u>

---

[24] დაწესებულების (მსჯავრდებულთა) დღის განრიგის თანახმად დილის 09:30 სთ-დან 10:00 საათამდე გათვალისწინებულია დილის შემოწმება (რიცხობრივი დათვლა), რის შემდეგადაც საკნების კარები იხსნება და მსჯავრდებულებს შეუძლიათ მათი საცხოვრებელი კორპუსის ტერიტორიაზე და სასეირნო ეზოში თავისუფალი გადაადგილება. საღამოს, 21:00 სთ-დან 21:30 საათამდე, საღამოს შემოწმება-რიცხობრივი დათვლის დროს ყველა მსჯავრდებული ბრუნდება საკანში.

[25] მართალია, პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილების ერთ-ერთ სასეირნო ეზოში განთავსებულია სავარჯიშო ინვენტარი, თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ის პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში მყოფი პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

[26]პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა სუფთა ჰაერზე იმყოფებოდეს (ისარგებლოს გასეირნების უფლებით), რაც სამართლებრივად იძლევა შესაძლებლობას პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნება ყოველდღიურად 1 საათზე მეტი ხნით განხორციელდეს.

მართალია, N5 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობების[27] განხორციელების კუთხით სხვა პენიტენციურ დაწესებულებებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა საჭიროა ეს აქტივობები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდეს მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების[28] გათვალისწინებით[29].

პრევენციული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალი პატიმრების იდენტიფიცირება და შესაბამისი სერვისების შეთავაზება ხდება შემთხვევის მართვის ეტაპზე, მხოლოდ მსჯავრდებულების მიმართ, რაც შეეხება ბრალდებულ ქალებს, მათთან ამ სახის მუშაობა არ ხორციელდება.

სამწუხაროდ, წინა წლების[30] მსგავსად, დაწესებულებაში მყოფ ყველა მსჯავრდებულს არ აქვს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს სარეაბილიტაციო აქტივობებში. აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საცხოვრებელ კორპუსშია მსჯავრდებული განთავსებული. ვინაიდან C და D საცხოვრებელ კორპუსებში ყველაზე მეტი სარეაბილიტაციო სივრცეებია, ამ კორპუსებში მყოფი მსჯავრდებულები მეტად არიან ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობებში. გარდა ამისა, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულები, ვერ ახერხებენ სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობას, რადგან მათი სამუშაო საათები დაწესებულებაში მიმდინარე აქტივობების დროს ემთხვევა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტისას კვლავ[31] დაფიქსირდა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მომუშავე პერსონალის ნაკლებობა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში დასაქმებული იყო 5 შემთხვევის მმართველი და 4 ფსიქოლოგი. ოთხიდან 2 ფსიქოლოგი სარგებლობდა დეკრეტული შვებულებით და მათ საქმეს ადგილზე დარჩენილი ფსიქოლოგები ითავსებდნენ.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინიტრს:

- **დაწესებულების ყველა საცხოვრებელ შენობაში მყოფ მსჯავრდებულს მიეცეს სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულმა მსჯავრდებულებმა აქტიურად შეძლონ სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვა და ამ პროცესში გათვალისწინებულ იქნას მათი სამუშაო გრაფიკი**

---

[27] ხორციელდება ჯგუფური სარეაბილიტაციო პროგრამები შემდეგ თემებზე: ემოციების მართვა, ინტერ-პერსონალური ურთიერთობები, არტთერაპია, ზიანის შემცირების პროგრამა, კოგნიტური უნარების განვითარება, პოზიტიური უნარების გაძლიერება, პენიტენციური სტრესი, ბიბლიოთერაპია, გათავისუფლებისთვის მომზადება.

[28] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციის თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამები მსჯავრდებულებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მიეწოდებოდეთ. გვ. 171. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf > [ბოლოს ნანახია: 10.10.2025].

[29] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში, გვ. 47. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf > [ბოლოს ნანახია: 09.10.2025].

[30] იხილეთ 2023 წლის 24 მარტს და 1 -2 მაისს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 4. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023073114585058376.pdf > [ბოლოს ნანახია: 09.10.2025].

[31] იხილეთ იქვე, გვ. 4

- **უზრუნველყოს დაწესებულებაში მყოფი ყველა ძალადობის მსხვერპლი ქალის იდენტიფიცირება და შესაბამისი სერვისების მიწოდება**
- **უზრუნველყოს დაწესებულებაში ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდა**

დასაქმება

დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულია[32] 66 მსჯავრდებული და ყოველთვიურად იღებს ხელფასს. სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულთა გარდა, ზოგიერთი მსჯავრდებული მუშაობს სასადილოში, სამრეცხაოში, სამკერვალოში, სათბურში, ჟოლოს ბაღში. ასევე, მსჯავრდებულთა ნაწილი ამზადებს ნაკეთობებს, რომელიც გასაყიდად გამოაქვთ ონლაინ მაღაზიაში.

ცხადია, დაწესებულებაში არსებული დასაქმების შესაძლებლობები გასაზრდელია, მაგრამ ამავე დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო პირობებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს ამ კუთხით შემდეგი საყურადღებო საკითხები გამოვლინდა: პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულ მსჯავრდებულებს შაბათ - კვირას და სადღესასწაულო დღეებშიც უწევთ მუშაობა, რაც არ იყო დოკუმენტირებული და ზოგადად, არ ხდებოდა სამუშაო დროის ზუსტი აღრიცხვა.[33] გარდა იმისა, რომ სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ პირებს უწევთ უქმე დღეებში მუშაობა, 7 დღიანი პერიოდის განმავლობაში არ აქვთ 24 საათი დასვენების შესაძლებლობა. დასაქმებული ქალების უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული შვებულების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ, დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტითაც (საავადმყოფო ფურცელი) იშვიათ შემთხვევაში სარგებლობენ. გარდა ამისა, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა ნაწილს ყოველდღიურად, დღეში რამდენჯერმე, უწევთ მძიმე ტვირთის ტარება (მათ შორის მეორე სართულზე ტვირთის/საკვებით სავსე ქვაბების ატანა), რაც ფიზიკურად დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

რეკომენდაცია სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს:

- **N5 პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულთა შრომითი უფლებების დაცვის შემოწმების მიზნით, ყოველწლიურად ჩატარდეს გეგმიური ინსპექტირება**

3.3. პატიმრების სტანდარტების შეუსაბამო და საფრთხის შემცველ პირობებში გადაყვანა

<u>უსაფრთხოება ტრანსპორტირებისას</u>

---

[32] სამუშაო მოიცავს საკვების პატიმრებისთვის დარიგებას, რეცხვას, დალაგება-დასუფთავება და სხვა.

[33] დასაქმებული პირების სამუშაო დროის აღრიცხვის ჟურნალში ყველა დასაქმებულ მსჯავრდებულის შესახებ მითითებული იყო, რომ ისვენებდნენ შაბათ-კვირას და უქმე დღეებში, ასევე თითქოს ყველა მუშაობდა დღეში 8 საათს, მაშინ როდესაც, ფაქტობრივად, სამეურნეო სამუშაოები სრულდება ყოველდღე და სხვადასხვა სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ დღის განმავლობაში სხვადასხვა ხანგრძლივობით უწევთ მუშაობა.

პრევენციული ვიზიტის დროს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოავლინა ტრანსპორტირების, ასევე სასამართლოში და სამედიცინო დაწესებულებაში მოცდის პირობებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები[34]. კერძოდ, ტრანსპორტირება ხდება უსაფრთხოების წესების სათანადოდ დაცვის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებებში არ არის უსაფრთხოების ღვედები, ხოლო პატიმრებს ადევთ ხელბორკილები [35], სკამების ზედაპირი სრიალებს, გადაადგილება ხდება მაღალი სიჩქარით და მძღოლს უწევს ხანდახან მკვეთრი დამუხრუჭება ან მოხვევა, რა დროსაც პატიმრები თავს ვერ იმაგრებენ და რიგ შემთხვევაში, სხეულის დაზიანებასაც იღებენ. პატიმრები აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევებში, ხელბორკილის ზემოქმედების გამო, მაჯაზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალების კორპუსზე მირტყმის გამო, სხეულის სხვადასხვა ნაწილში, ძირითადად, თავის არეში, მიუღიათ დაზიანებები. ისინი დამატებით აღნიშნავენ, რომ არ მომხდარა ამ დაზიანებების დოკუმენტირება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) შეფასებით, ტრანსპორტირებისას ხელბორკილების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე და როდესაც ეს აბსოლუტურად აუცილებელია. ხელბორკილების გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მინიმუმადე იყოს დაყვანილი დაზიანების რისკი. ხელბორკილები არ უნდა გამოიყენონ იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც მოთავსებულნი არიან სატრანსპორტო საშუალების ჩაკეტილ და დაცულ სივრცეში.[36]

<u>ტრანსპორტირების და მოცდის პირობები</u>

პატიმრები განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამენ ტრანსპორტირების და მოცდის პირობებთან მიმართებით. ბრალდებულები, რომელთა სასამართლო სხდომები დაწესებულებიდან შორ მანძილზე იმართება, ასევე პატიმრები, რომლებიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო გაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებაში, განსაკუთრებით იტანჯებიან და ზოგიერთი მათგანი უარსაც კი ამბობს დაწესებულებიდან გაყვანაზე. გასათვალისწინებელია, რომ მოცდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია არა კონკრეტული პატიმრის მიმართ განსახორციელებელ პროცედურაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დასრულდება პროცედურები ერთი სატრანსპორტო საშუალებით გადაყვანილი ყველა პატიმრის მიმართ.[37]

პატიმრების თქმით, სატრანსპორტო საშუალებებში ვენტილაციისა და გაგრილების სისტემა გაუმართავად მუშაობს. სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების შემთხვევაში, დანიშნულების ადგილამდე მისვლისთვის საჭირო დროს ემატება ექიმის კონსულტაციის მოლოდინის დრო, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ერთ საათს აღემატება.

---

[34] აღნიშნული ეხება როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან პატიმრებს.

[35] იხილეთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში, გვ.121-123, ხელმისაწვდომია შემდეგ ელ მისამართზე: < https://ombudsman.ge/res/docs/2025050512365359868.pdf > [ბოლოს ნანახია: 30.09.2025].

[36] European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT). CPT/Inf(2018)24 < https://rm.coe.int/16808b631d > [ბოლოს ნანახია: 30.09.2025].

[37] N5 დაწესებულებიდან გაყვანა ძირითადად 9 საათიდან 10 საათამდე პერიოდში ხდება, ხოლო დაბრუნება 18:00 საათისთვის.

რაც შეეხება სასამართლოს მოსაცდელს, პატიმრები საუბრობენ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ პრობლემებზე. მათი განმარტებით, არასაკმარისი ვენტილაციის პირობებში, ერთად თავსდებიან მწეველი და არამწეველი პატიმრები. ასეთ მდგომარეობას განსაკუთრებულად მწვავედ აღიქვამენ არამწეველი და სასუნთქი გზების დაავადებების მქონე პატიმრები.[38] ქალი პატიმრები ასევე აცხადებენ, რომ სასამართლოს მოსაცდელში საერთო საპირფარეშოთი სარგებლობა ღირსების შემლახველია. განიცდიან იმ ფაქტს, რომ საპირფარეშომდე მისასვლელად უწევთ ესკორტირების კაცი ოფიცრების კორიდორის გავლა. განმარტავენ, რომ საპირფარეშოში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და არ არის გათვალისწინებული ქალთა სპეციალური საჭიროებები. კერძოდ, არ არის უზრუნველყოფილი ჰიგიენური საფენები, ურნა და ტკივილგამაყუჩებლები. აღნიშნული მნიშვნელოვანია რამდენადაც, ქალებს რამდენიმე საათის და მთელი დღის გატარებაც კი უწევთ სასამართლოში.[39]

<u>კვება</u>

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ქალი პატიმრები ასახელებენ, ეხება კვებას. სასამართლოში გაყვანის წინ ქალი პატიმრები ვერ ასწრებენ საუზმეს, N5 დაწესებულების გარეთ ყოფნის დროს არ ჰყოფნით დაწესებულებაში საგზლად გადაცემული მცირე ულუფა, ხოლო დაწესებულებაში საღამოს დაბრუნებულებს საკვები დარიგებული შეიძლება დახვდეთ და ვერ მიიღონ კუთვნილი ულუფა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **ტრანსპორტირებისას გაითვალისწინოს პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა და ტრანსპორტირების ორგანიზება განახორციელოს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება, ასევე სასამართლოში და სამედიცინო დაწესებულებაში ხანგრძლივად დაყოვნება.**
- **ქალ პატიმართა ესკორტირების პროცესში გათვალისწინებულ იქნას ქალთა სპეციალური საჭიროებები.**
- **პატიმართა ესკორტირებისას, სპეციალური საშუალების (ხელბორკილის) გამოყენება განახორციელოს არა რუტინულად (პრევენციულად), არამედ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე**
- **უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებებში ვენტილაციისა და გაგრილების სისტემის გამართული მუშაობა**
- **უზრუნველყოს ესკორტირებისას სათანადო კვება**
- **უზრუნველყოს სასამართლო მოსაცდელ საკნებში მწეველი და არამწეველი პატიმრების განცალკევებით განთავსება**

---

[38] ასევე ამავე სივრცეში, ცალკე საკნებში თავსდებიან ორსული ქალები და არასრულწლოვნები.

[39] 2025 წლის 31 ოქტომბერს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა თბილისის საქალაქო სასამართლოში და შეისწავლა მოსაცდელში არსებული პირობები.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- **უზრუნველყოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაცდელ საკნებში და საპირფარეშოებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და სათანადო ვენტილაცია**

3.4. სამედიცინო მომსახურება

3.4.1. სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობა

<u>სამედიცინო ინფრასტრუქტურა</u>

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში გარემონტდა სამედიცინო ნაწილი და აღიჭურვა ახალი სამედიცინო ინვენტარით. მიუხედავად ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა, სამედიცინო ნაწილის პირველ სართულზე მდებარე ოთახებში ნესტისგან დაზიანებულია კედლები, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობაზე.

დაწესებულებაში არსებული საწოლები არის რკინის მყარი კონსტრუქციის, ლეიბები კი თხელი, რაც უარყოფითად მოქმედებს ხერხემლის პრობლემების მქონე პატიმართა ჯანმრთელობაზე. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ ცალკეულ პაციენტებს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ესაჭიროებოდათ ორთოპედიული მატრასები, რითაც, სამწუხაროდ, დროულად არ იყვნენ უზრუნველყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს პატიმრები შესაბამისი ორთოპედიული მატრასებით, რათა არ მოხდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, საწოლების ზედაპირის სიმყარის შედეგად გამოწვეული დისკომფორტის აღმოსაფხვრელად, დაწესებულებაში ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს ხარისხიანი მატრასით.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოფილი იქნას სამედიცინო ნაწილის პირველ სართულზე არსებულ ოთახებში სარემონტო სამუშაოების განხორციელება**
- **საჭიროების შემთხვევაში, ყველა პატიმარი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილი იქნას ორთოპედიული მატრასით**
- **საწოლების ზედაპირის სიმყარის შედეგად გამოწვეული დისკომფორტის აღმოსაფხვრელად, ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იქნას ხარისხიანი მატრასით**

<u>სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დოკუმენტაცია</u>

დროულ და ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა. დაწესებულებას ემსახურება პირველადი ჯანდაცვის 2 ექიმი და 5 ექთანი, რომლებიც დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფებიან. რაც შეეხება მორიგე პერსონალს, საღამოს

საათებსა და დასვენების დღეებში დაწესებულებაში მორიგეობს 1 ექიმი და 1 მორიგე ექთანი.[40] დაწესებულებაში მორიგე ექიმებისა და ექთნების პატიმრებთან თანაფარდობა მაღალია, მორიგეობის პერიოდში მთელ დაწესებულებას ემსახურებიან.[41] შესაბამისად გასული წლების მსგავსად პრობლემას წარმოადგენს მორიგე პერსონალის გადატვირთულობა, [42] რაზეც დამატებით გავლენას ახდენს საცხოვრებელი კორპუსების ერთმანეთისგან დაშორებაც. სამწუხაროდ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაზრდილიყო მორიგე სამედიცინო პერსონალის რაოდენობა, რათა მომხდარიყო მათი პროფესიული გადაწვის თავიდან აცილება, პატიმრებს კი დროულად მიეღოთ სამედიცინო მომსახურება. აქვე გასათვალისწინებელია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ზოგადი პოზიცია, რომ 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი უარყოფით გავლენას აუცილებლად მოახდენს სამედიცინო პერსონალის მუშაობის ხარისხზე.[43]

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- **დაწესებულებაში გაიზარდოს მორიგე სამედიცინო პერსონალის რაოდენობა**
- **ეტაპობრივად გაუქმდეს სამედიცინო პერსონალის 24 საათიანი სამუშაო ცვლები და განისაზღვროს 9 საათიანი (ან მაქსიმუმ 12 საათიანი) სამუშაო დრო**

დაწესებულებას ასევე ემსახურებიან სხვადასხვა პროფილის ექიმი-სპეციალისტები. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, დაწესებულებაში კვირაში ერთხელ, რეგულარულ ვიზიტებს ახორციელებენ ექიმი ფსიქიატრი, რადიოლოგი და გინეკოლოგი. სხვა სპეციალისტების გამოძახება კი საჭიროებისამებრ ხდება. [44] აქვე აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ონლაინ კონსულტაციების ჩატარებაც ჰემატოლოგთან და გასტროენტეროლოგთან, ზოგიერთ შემთხვევაში კი რევმატოლოგთანაც. მიუხედავად აღნიშნულისა გასაუბრების დროს პატიმართა ნაწილი მიუთითებდა, რომ, როგორც წესი, კონსულტაციები ექიმ-სპეციალისტთან ჩაწერიდან დაახლოებით 1 – 2 თვის შემდეგ უტარდებათ. მნიშვნელოვანია, რომ ექიმ-სპეციალისტთა ვიზიტები იმგვარად იქნას ორგანიზებული, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო 2 კვირას არ აღემატებოდეს.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას**

რაც შეეხება სამედიცინო რეფერალის დროულ განხორციელებას, აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით შემცირებულია მომლოდინე პატიმართა რაოდენობა. რეფერალი

---

[40] დაწესებულებაში დასაქმებულია 4 მორიგე ექიმი და 4 მორიგე ექთანი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ 4 დღეში ერთხელ 24 საათი.

[41] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში უთითებს, რომ ერთ ექიმზე - 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი არ უნდა მოდიოდეს.

[42] გასაუბრების დროს პატიმართა ნაწილი მიუთითებდა დაგვიანებულ სამედიცინო მომსახურებაზე.

[43]Moldova: Visit 2015, CPT/Inf (2016) 16 | Section: 21/41 | Date: 05/04/2016. პარ:112.

[44] ნევროლოგი, კარდიოლოგი, რენტგენოლოგი, ნარკოლოგი, ოტო-ლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, ენდოკრინოლოგი, უროლოგი, ქირურგი.

ძირითადად დროულად ხორციელდება, მაგრამ კვლავ გვხვდება შემთხვევები, როდესაც დადგენილი ვადები დარღვეულია.[45]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს გეგმიური რეფერალის დროული განხორციელება**

სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინა, რომ სამედიცინო ბარათებში ჩანაწერები რეგულარულად არ კეთდება, მკურნალობის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ არის, რაც ართულებს მკურნალობის ადეკვატურობისა და წლების განმავლობაში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების ობიექტურად შეფასებას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშში გაცემული იქნა რეკომენდაცია, რათა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებისთვის პენიტენციურ სისტემაში დანერგილიყო ელექტრონული ჩანაწერების EHR) სისტემა.[46]

<u>რეპროდუქციული ჯანმრთელობა</u>

დაწესებულებაში ორსულობის დადგენა ორსულობის ტესტითა და ექოსკოპიური კვლევით ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ორსულობის ვადების გათვალისწინებით, დროულად მოხდეს პაციენტთა ექოსკოპიურ კვლევაზე გაყვანა ორსულობის დასადასტურებლად, რათა უმოკლეს ვადებში მიიღოს შესაბამისი ზრუნვა და სამედიცინო მომსახურება. ორსულობის დადგენის შემდეგ ორსული ქალი აღრიცხვაზე დგება და კონსულტაციები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში უტარდება. დაწესებულების ექიმები კი მხოლოდ რუტინულ შემოწმებასა და მედიკამენტების მიწოდებას უზრუნველყოფენ. რაც შეეხება ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის საკითხს, დაწესებულება მხოლოდ სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში ახდენს აღნიშნული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პატიმარს სურს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, მან თავად უნდა მოიძიოს კლინიკა და გადაიხადოს მომსახურების საფასური, დაწესებულება კი მხოლოდ მის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. ეს პროცედურა დროსთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული, რის გამოც შესაძლოა ვერ მოხერხდეს ორსულობის შეწყვეტა კანონით დადგენილ ვადებში. .

ქალებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებები, როგორიცაა პაპანიკოლაუს ანალიზი და სარძევე ჯირკვლებისა და გინეკოლოგიური კიბოს დიაგნოსტიკა, თანაბრად უნდა იქნას შეთავაზებული ქალი პატიმრებისთვის ისევე, როგორც ეს

---

[45] მაგალითად, ერთ-ერთ პატიმარი კოლპოსკოპიის ჩატარების მიზნით ამბულატორიულად დარეგისტრირებული იყო 2025 წლის მაისში, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტისთვის არ იყო გაყვანილი. ერთ-ერთ პატიმარი უროლოგთან კონსულტაციისთვის ამბულატორიულად დარეგისტრირებული იყო 2025 წლის ივნისის დასაწყისში, თუმცა 22 ივლისის ჯერ არ იყო გაყვანილი. ერთ-ერთი პატიმარი ქვედა კიდურების ელექტრონეირომიოგრაფიულ კვლევაზე ამბულატორიულად დარეგისტრირებული იქნა 2025 წლის აპრილის თვეში, სამედიცინო მომსახურების მისაღებად კი გაყვანილი იქნა ივლისის თვეში.

[46] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში, გვ. 59 იხ. ბმული: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf >[ბოლოს ნანახია: 30.09.2025].

საზოგადოებაში იმავე ასაკის ქალებისთვისაა.[47] დადებითად უნდა აღინიშნოს სკრინინგული გამოკვლევების ჩატარების საკითხი. 2025 წელს პატიმართა ნაწილს ჩაუტარდა მკერდის კიბოსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგული გამოკვლევები. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება, განსაკუთრებით, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პატიმრებისთვის.

ქალმა პატიმრებმა უნდა მიიღონ განათლება და ინფორმაცია ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აივ ინფექციის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა, ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ.[48] სამწუხაროდ ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პატიმრებთან საინფორმაციო შეხვედრები კვლავ არ ტარდება. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, როგორც ჯანდაცვის პროგრამებსა და პრევენციული ჯანდაცვის საკითხებზე, ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოფილი იქნას დაწესებულებაში პერიოდული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება**
- **უზრუნველყოფილი იქნას საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, როგორც ჯანდაცვის პროგრამებსა და პრევენციული ჯანდაცვის საკითხებზე, ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე**
- **უზრუნველყოს სავარაუდო ორსულ პაციენტთა ექოსკოპიურ კვლევაზე დროულად გაყვანა ორსულობის დასადასტურებლად**

<u>პირადი ჰიგიენა</u>

"ბანგკოკის წესების"[49] თანახმად, ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს, მათ შორის ბავშვებისა და ქალების პირადი ჰიგიენისთვის საჭირო სანიტარული პირსახოცები და წყალი, რომელიც მიწოდებული უნდა იქნას რეგულარულად და უფასოდ.

---

[47] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, წესი 18.
[48] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, წესი 18.
[49] წესი 16.

როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, დაწესებულებას ხშირ შემთხვევაში არ მიეწოდება წყალი,[50] რის გამოც პატიმრები და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები იძულებულნი არიან წყლის მარაგი შეინახონ სხვადასხვა სახის ჭურჭლით[51].

პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში და შიდა კლასიფიკაციის საკნებში[52] მყოფ პატიმრებს საკანში არ აქვთ ცხელი წყალი. ისინი სარგებლობენ შხაპის მიღების უფლებით კვირაში მხოლოდ ორჯერ[53], ისიც ერთ ჯერზე არაუმეტეს 20 წუთის ხანგრძლივობით, რაც არასაკმარისია, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში. არის შემთხვევები, როდესაც შხაპის მიღების დროს მოულოდნელად წყდება წყალი და ასეთ შემთხვევაში, მათ ჭურჭელში შენახული ცივი წყლით უწევთ ბანაობის გაგრძელება. გარდა ამისა, ქალებს მენსტრუალური ციკლის დღეებშიც კი არ ეძლევათ დამატებით შხაპის მიღების შესაძლებლობა, რაც ამ პერიოდში აუცილებელია პირადი ჰიგიენის სათანადოდ დასაცავად.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია გადაიხედოს ქალი პატიმრებისთვის გადასაცემი საბაზო ჰიგიენური ნივთების ჩამონათვალი. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიიჩნევს, რომ ყველა 24 საათზე მეტი ხნით დაკავებულ პირს, უფასოდ უნდა ეძლეოდეს ძირითადი ჰიგიენური ნაკრები (რომელშიც შედის შესაბამისი რაოდენობის საპონი, სარეცხი ფხვნილი, ტუალეტის ქაღალდი, შამპუნი, საპარსი საშუალებები, კბილის პასტა და კბილის ჯაგრისი).[54]

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **შეისწავლოს ქალთა სპეციფიური საჭიროებები და განახლდეს ქალი პატიმრებისთვის გადასაცემი საბაზისო ჰიგიენური ნივთების ჩამონათვალი უზრუნველყოს პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში და შიდა კლასიფიკაციის საკნებში[55] ცხელი წყლის უწყვეტი ხელმისაწვდომობა. საკნებში ცხელი წყლის უწყვეტ ხელმისაწვდომობამდე,**

---

[50] №5 დაწესებულებაში დასამონტაჟებელია სარეზერვო ავზები, რაც ქსელურად წყლის შეწყვეტის შემთხვევაში, თვითდინებით უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის საჭირო ოდენობით წყლის მიწოდებას.

[51] პატიმრები წყალს აგროვებენ ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ 100 ლიტრიან კასრებში და ასევე წყლის სხვა ჭურჭელში. წყლის ქსელური შეწყვეტის პერიოდში, დაწესებულებას წყლით ამარაგებს სპეციალური ავტომანქანა, თუმცა ეს წყალი ზემოთაღნიშნულ ჭურჭელში ისხმება და პატიმართა შრომას საჭიროებს;

[52] შიდა კლასიფიკაციის საკნები განთავსებულია შენობის ორ სართულზე. მეორე სართულზე არსებულ შიდა კლასიფიკაციის საკნებში შიგნით მოწყობილია საშხაპე და პატიმრებს შეუძლიათ მათთვის სასურველ დროს მიიღონ შხაპი. რაც შეეხება პირველ სართულზე არსებულ შიდა კლასიფიკაციის საკნებს, აქ საშხაპეები არ არის და იქ მოთავსებულ პატიმრებს, პატიმრობისა და დახურული ტიპის განყოფილებაში არსებულ საკნებში მყოფი ქალების მსგავსად, მხოლოდ კვირაში ორჯერ შეუძლიათ საერთო საშხაპეში შხაპის მიღება.

[53] პენიტენციური კოდექსი, მუხლი 112.

[54] იხილეთ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში, Greece: Visit 2019 CPT/Inf (2020) 15 | Section: 23/27 | Date: 19/07/2019. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: < https://hudoc.cpt.coe.int/#{%22sort%22:[%22cptdocumentdate%20descending,cptdocumentid%20ascending,cptsectionnumber%20ascending%22],%22cptsectionid%22:[%22p-grc-20190328-en-23%22]} > [ბოლოს ნანახია: 10.10 2025]

[55] შიდა კლასიფიკაციის საკნები განთავსებულია შენობის ორ სართულზე. მეორე სართულზე არსებულ შიდა კლასიფიკაციის საკნებში შიგნით მოწყობილია საშხაპე და პატიმრებს შეუძლიათ მათთვის სასურველ დროს მიიღონ შხაპი. რაც შეეხება პირველ სართულზე არსებულ შიდა კლასიფიკაციის საკნებს, აქ საშხაპეები არ არის და იქ მოთავსებულ პატიმრებს, პატიმრობისა და დახურული ტიპის განყოფილებაში არსებულ საკნებში მყოფი ქალების მსგავსად, მხოლოდ კვირაში ორჯერ შეუძლიათ საერთო საშხაპეში შხაპის მიღება.

გენდერ-სპეციფიური საჭიროებებიდან გამომდინარე უზრუნველყოს საერთო საშხაპით სარგებლობის ყოველდღიური შესაძლებლობა

- **უზრუნველყოს N5 დაწესებულებაში სარეზერვო ავზების დამონტაჟება, რაც ქსელურად წყლის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის საჭირო ოდენობით წყლის მიწოდებას**

3.4.2. ფსიქიკური ჯანმრთელობა

ინდივიდუალიზებული, გენდერულად მგრძნობიარე, კონკრეტული ტრავმის გათვალისწინებით სრული ფსიქიატრიული დახმარება და სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ციხესა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალი პატიმრებისთვის. [56] სამწუხაროდ, დაწესებულებაში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. ის არ ატარებს ბიო-ფსიქო-სოციალურ ხასიათს.

<u>სკრინგინგი</u>

ამასთან, კვლავ პრობლემურია ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგიც. მართალია, დაწესებულებაში მოთავსებისას პატიმარს ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი, სამედიცინო ბარათში ინტეგრირებული ინსტრუმენტით, [57] უტარდება, თუმცა მხოლოდ დაწესებულებაში მოთავსებისას ერთჯერადი სკრინინგის ჩატარება არასაკმარისია. დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ფსიქიატრთან გადამისამართებას ოჯახის ექიმი ან მორიგე ექიმი ახდენს. პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არის მასიური ფსიქოტრავმა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენას ან მის დეკომპენსაციას. ამდენად, ადრეული დიაგნოსტიკა და პრევენციული მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ასეთი მიდგომის დასამკვიდრებლად აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი.

<u>სტაციონარში მოთავსება</u>

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის უნარებს არ ფლობენ. ამასთან, 2024-2025 წლებში აღნიშნული მიმართულებით გადამზადებაც არ ჩატარებიათ. კრიზისული შემთხვევის დადგომის შემთხვევაში პაციენტი, სასწრაფო წესით, N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაჰყავთ. N18 დაწესებულებაში არ არის არც ქალთა და არც არასრულწლოვანთა განყოფილება. ამდენად, მართალია საკანში მამაკაცი პაციენტებისგან იზოლირებულად, მაგრამ მათთან ახლოს,

---

[56] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ბანგკოკის წესები, წესი 12.

[57] ინსტრუმენტი მოიცავს კითხვებს ფსიქიატრიული ისტორიის, სუიციდის, სტრესის, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების, ტრამვული გამოცდილების და ფსიქიატრის ან სხვა სპეციალისტების კონსულტირების საჭიროების შესახებ.

თავსდებიან უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მამაკაცი თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ. ქალი პაციენტები ამ ვითარებას განიცდიან. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ანალოგიურ პირობებში უწევთ ყოფნა 18 წლამდე ასაკის გოგონებს. სახალხო დამცველის შეფასებით, ქალმა პატიმრებმა, განსაკუთრებით არასრულწლოვნებმა [58] , სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება უნდა მიიღონ მამაკაცი პატიმრებისგან მაქსიმალურად იზოლირებულ გარემოში[59] და მდედრობითი სქესის პერსონალის მეთვალყურეობით.

<u>გვერდითი ეფექტების მართვა</u>

პაციენტების ამბულატორიულ სამედიცინო ბარათებში არ არის ინფორმაცია ფსიქოტროპული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტებისა და გვერდითი ეფექტების მართვისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები, მუდმივად უტარდებოდეთ ფიზიკური ჯანმრთელობის შემოწმება.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **უზრუნველყოფილი იქნას იმ პაციენტთა ფიზიკური ჯანმრთელობის მუდმივი შემოწმება, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები**
- **უზრუნველყოს დაწესებულების სამედიცინო პერსონალის გადამზადება ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში**
- **მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ; გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, შეიმუშაონ ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება**
- **მიიღოს საჭირო ზომები, რათა ქალმა პატიმრებმა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებმა, სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება მიიღონ მამაკაცი პაციენტებისგან მაქსიმალურად იზოლირებულ გარემოში, მდედრობითი სქესის პერსონალის მეთვალყურეობით**

3.5. კონტაქტი გარე სამყაროსთან

ქალი პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით კი შვილებთან ყველა შესაძლო საშუალებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი და წახალისებული. [60] N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ქალი პატიმრები სხვადასხვა წინააღმდეგობებს ხვდებიან გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით. პირველ რიგში, პატიმართა ნაწილისთვის დაბრკოლებას ქმნის

[58] ნელსონ მანდელას წესები, წესი 11(d).
[59] ნელსონ მანდელას წესები, წესი 11(a).
[60] ბანგკოკის წესები, წესი 26.

გეოგრაფიული მდებარეობა. პატიმრები, რომელთა ოჯახები დასავლეთ საქართველოში ცხოვრობენ საკმარისი სიხშირით ვერ სარგებლობენ პაემნის უფლებით.

ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა გართულებულია იმ პატიმრებისთვისაც, ვისი ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ვიდეოპამენის უფლების გამოყენება კი მისი განხორციელების არსებული წესიდან გამომდინარე შეუძლებელია.[61] გარდა ამისა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის[62] მიუხედავად, საზღვარგარეთ სატელეფონო ზარის საფასური კვლავ მაღალია და ზოგიერთ სახელმწიფოში წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაც კი მაღალ ხარჯებს უკავშირდება. სახალხო დამცველი აქვე მიესალმება, რომ შესრულდა რეკომენდაცია[63] საზღვარგარეთ დარეკვისთვის გამოყოფილი დღეების გაუქმების შესახებ და პატიმრებს შეუძლიათ დღის განრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ დროს დარეკვა.

მწირია დახურულ კორპუსში და შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფი პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობები. პირველ რიგში, შეზღუდულია სატელეფონო საუბრის დრო და რაოდენობა. დამატებით დაბრკოლებებს აწყდებიან ბრალდებულები შემოსახლებისას, ვინაიდან საბანკო ბარათები, რომელიც დარეკვისთვის აუცილებელია 5 - დან 12 დღემდე პერიოდში მზადდება. ამასთან, ბრალდებული ქალები ვერ სარგებლობენ საოჯახო პაემნისა და ვიდეო პაემნის უფლებით.

N5 დაწესებულებაში კვლავ პრობლემურია პატიმართა სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობის დაცვა. მართალია, დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილში მოეწყო სპეციალური კაბინები სატელეფონო საუბრისთვის, თუმცა კაბინებს არ აქვს ჭერი და კონფიდენციალურად საუბარი შეუძლებელია. ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატები კვლავ არ განუთავსებიათ კაბინებში, რაც გარდა კონფიდენციალობის დაცვისა, მნიშვნელოვანია წვიმიანი/თოვლიანი ამინდის დროს.[64]

გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით საყურადღებოა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე წვდომის ხარვეზები. კერძოდ N5 პენიტენციური დაწესებულების დებულების 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენას დაწესებულების დირექტორის თანხმობა სჭირდება, რაც ეწინააღმდეგება პენიტენციური კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც მის შეძენაზე დაწესებულების დირექტორის თანხმობას აღარ ითვალისწინებს.

---

[61] სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს ვიდეოპაემნის განხორციელების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება.

[62] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში, გვ. 75-76. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf > [ბოლოს ნანახია: 10.10.2025].

[63] იხილეთ იქვე გვ. 75.

[64] იხილეთ 2023 წლის 24 მარტს და 1 -2 მაისს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 8. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023073114585058376.pdf > [ბოლოს ნანახია: 10.10.2025].

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- **პენიტენციურ კოდექსში განხორციელდეს ცვლილება, რომლის თანახმად, ბრალდებულ ქალებს მიენიჭებათ საოჯახო პაემნისა და ვიდეო პაემნის უფლება**

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობის დაცვისა და ცუდ ამინდში ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობისთვის ეტაპობრივად განხორციელდეს ტელეფონის აპარატების დახურულ კაბინებში განთავსება.**
- **მიიღოს ყველა ზომა ბრალდებულის საბანკო ბარათის მაქსიმალურად მცირე ვადაში დასამზადებლად და უზრუნველყოს ბარათის დამზადებამდე კვირაში მინიმუმ ერთი ზარის განხორციელების შესაძლებლობა**
- **შევიდეს ცვლილება N5 პენიტენციური დაწესებულების დებულების 51-ე მუხლის მე-3 პუნქტში და გაუქმდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენას დაწესებულების დირექტორის თანხმობა სჭირდება**

3.6. გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

N5 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები არ არიან სათანადოდ ინფორმირებული მათ უფლება-მოვალეობებზე და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე. არც დაწესებულებაში მიღებისას და არც შემდგომ პერიოდში მათ არ გადაეცემათ საინფორმაციო ფურცელი ან ბროშურა, სადაც მოცემული იქნებოდა ინფორმაცია მათ უფლებებზე, დაწესებულებაში არსებულ წესებზე, სერვისებზე და გასაჩივრების მექანიზმებზე.

პატიმრებს არ აქვთ, ინფორმაცია უფასოა თუ არა, ან როდის არის შესაძლებელი სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე დარეკვა. პატიმრობის და დახურული ტიპის კორპუსში კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები საჩივრის ყუთებზეა განთავსებული, თუმცა იგი ხვდება ვიდეომეთვალყურეობის არეში და შეუძლებელია კონვერტის ყუთში კონფიდენციალურად მოთავსება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას, არაერთი პატიმარი აღნიშნავდა, რომ დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე საუბრის გამო ჰქონდათ დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ანგარიშსწორების შიში. ერთეულ შემთხვევებში კი პატიმრები უთითებდნენ, რომ მათ მიერ კონფიდენციალურად გაგზავნილი განცხადება/საჩივარი იხსნება, რაც დაწესებულების ადმინისტრაციისგან უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველი ხდება. ამის გამო, კი თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისგან.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **დაწესებულების სოციალურმა მუშაკებმა უზრუნველყონ პატიმართა ზეპირად და წერილობით ინფორმირება უფლებებზე, როგორც დაწესებულებაში შესახლებისას, ისე დაწესებულებაში ყოფნის მთელ პერიოდში. ასევე უფლებების შესახებ ინფორმაცია**

ბროშურის სახით მიეწოდოთ დაწესებულებაში ახალ შემოსახლებულ პატიმრებს. დამატებით შესაძლებელია ყველა პატიმართან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მათი უფლება-მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე

- პატიმრობის და დახურული ტიპის კორპუსში უზრუნველყოს საჩივრის ყუთის ისეთ ადგილას განთავსება, სადაც ის არ მოხვდება ვიდეო-მეთვალყურეობის არეში
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, შეისწავლოს N5 დაწესებულებაში კონფიდენციალური განცხადება/საჩივრით სარგებლობის დამაბრკოლებელი გარემოებები და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად

4. განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები

ქალი პატიმრები, მათი სპეციფიური საჭიროებებიდან გამომდინარე, თავისთავად მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან, თუმცა დამატებითი ფაქტორები, როგორიცაა ასაკი, სამართლებრივი სტატუსი, ფსიქო-სომატური ჯანმრთელობის მდგომარეობა, მოქალაქეობა და სხვა მათ კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს და აჩენს არასათანადო მოპყრობის დამატებით რისკებს.

4.1. არასრულწლოვნები

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არასრულწლოვნების განთავსების ადგილი მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული ზრდასრული პატიმრების განთავსების ადგილისგან და მორგებული უნდა იყოს მათ სპეციალურ საჭიროებებს. [65] დაწესებულებაში არასრულწლოვნებისთვის შექმნილი უნდა იყოს ბავშვზე მორგებული გარემო, რაც მოიცავს, როგორც შესაბამის საცხოვრებელ პირობებს, ასევე დღის განრიგს, ფსიქო-სოციალურ მხარდამჭერ სერვისებს, განათლების და განვითარების შესაძლებლობებს და სხვა.[66] საქართველოში ქალი არასრულწლოვანი პატიმრებისთვის განთავსების ერთადერთი ადგილია N5 პენიტენციური დაწესებულება.

პრევენციული ვიზიტების დროს დაწესებულებაში 7 არასრულწლოვანი იმყოფებოდა. აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულები სრულწლოვან პირებთან ერთად [67] იყვნენ განთავსებული შიდა კლასიფიკაციის საკნებში, რაც ზემოაღნიშნული სტანდარტის დარღვევაა. ასევე მათი ტრანსპორტირება, რიგ შემთხვევებში, ხდებოდა სრულწლოვან პატიმრებთან ერთად. აქვე უნდა ითქვას, რომ დაწესებულებაში ახალ შემოსახლებული არასრულწლოვანი

[65] ციხის ევროპული წესები. წესი 11.1. გაეროს გენერალური ასამბლეის 45/113 რეზოლუცია თავისუფლება შეზღუდულ არასრულწლოვნის დაცვის შესახებ (ჰავანას წესები) წესი 29.
[66] ციხის ევროპული წესები. წესი 35.1. ჰავანას წესები, წესი 32.
[67] მათ შორის დაფიქსირდა არასრულწლოვნის სრულწლოვანებთან ერთად ტრანსპორტირების შემთხვევაც.

ბრალდებულები თავსდებიან შიდა კლასიფიკაციის საკნებში, სადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ორ კვირაზე მეტი უწევთ ყოფნა.

არასრულწლოვანთა საცხოვრებელი პირობების კუთხით იგივე გამოწვევებია, რაც ზრდასრულთა განყოფილებებში, კერძოდ ვენტილაციის და მაღალი ტემპერატურის პრობლემები, წყლის შეწყვეტა, ბრალდებული არასრულწლოვნებისთვის შხაპის მიღებისთვის გამოყოფილია მხოლოდ 2 დღე. ასევე, ჰიგიენის ნივთების არასაკმარისი პერიოდულობით და თეთრეულის დაგვიანებით მიწოდება და დაგვიანებით გარეცხვა. გარდა ამისა, არასრულწლოვნების ტრანსპორტირების პირობები არ განსხვავდება სრულწლოვანი ქალების ტრანსპორტირების პირობებისგან.

არასრულწლოვან ბრალდებულები 23 საათს ატარებენ საკანში, არ მიუწვდებათ ხელი აქტივობებზე, კვირაში მხოლოდ ერთხელ ხვდებიან ფსიქოლოგს და სოციალურ მუშაკს, მწირია მათთვის განკუთვნილი წიგნების რაოდენობა და ძირითადად დროს ტელევიზორთან ან მისი არქონის შემთხვევაში, თანამესაკნესთან საუბარში ატარებენ.

არასრულწლოვნებთან სარეაბილიტაციო სამუშაო პროცესში ჩართულია 1 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი.[68] მსჯავრდებული არასრულწლოვნები ირიცხებიან 123-ე საჯარო სკოლაში.

არასრულწლოვნებთან მუშაობის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობა, რაც დადებით გავლენას მოახდენს არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესზე. სამწუხაროდ, დაწესებულების სოციალური სამსახურის ძალისხმევა არ არის მიმართული მშობელთა ჩართულობის წახალისებისკენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ მიიღოს ზომები მშობელთა და მეურვეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **არ დაუშვას არასრულწლოვან ბრალდებულთა შიდა კლასიფიკაციის საკნებში ხანგრძლივი დროით მოთავსება**
- **უზრუნველყოს არასრულწლოვანი ბრალდებულების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებში ჩართვა**
- **არ დაუშვას არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვან პატიმრებთან ერთად მოთავსება**
- **უზრუნველყოს არასრულწლოვან ბრალდებულთა ბავშვზე მორგებულ გარემოში განთავსება**

4.2. ორსული ქალები

განხორციელებული ვიზიტების დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 9 ორსული ქალი და 2 დედა მცირეწლოვან ბავშვთან ერთად.

[68] ორივე მათგანს გავლილი აქვს არასრულწლოვნებთან მუშაობისთვის საჭირო სპეციალიზაცია, დამატებით ისინი სრულწლოვან პატიმრებთანაც მუშაობენ.

ვიზიტის [69] დროს ორსულ ქალთა უმრავლესობა ცხოვრობდა დაწესებულების დედათა და ბავშვთა განყოფილებაში, სადაც მათთვის შექმნილი იყო შესაბამისი საცხოვრებელი პირობები. 9 ორსული ქალიდან 1 ცხოვრობდა დაწესებულების ნახევრად ღია ტიპის ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, ხოლო 2 ქალი მოთავსებული იყო დაწესებულების პატიმრობის და დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში, სადაც საცხოვრებელი პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი [70]. აღნიშნულ კორპუსში მყოფი სხვა პატიმრების მსგავსად, ორსული ქალები ყოველდღიურად, მხოლოდ 1 საათიანი გასეირნების უფლებით სარგებლობდნენ.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **მსჯავრდებული ორსული ქალების თანაბრად, უზრუნველყოს ბრალდებული ორსული ქალებისთვის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და დღის რეჟიმი**

4.3. ბრალდებული ქალები

დაწესებულებაში მოხვედრის პირველ დღეებში ბრალდებულები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ დროს მაღალია მათი სტრესის დონე, თავს გრძნობენ დათრგუნულად და იზოლირებულად. ღელავენ საკუთარ თავზე და ახლობლებზე, განსაკუთრებით კი ის ქალები, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დაწესებულებას გააჩნდეს ინსტიტუციური პოლიტიკა და გადამზადებული პერსონალი, რომელიც ამ პერიოდში მხარდამჭერ სერვისებს შესთავაზებს დაწესებულებაში ახლად შესახლებულ ქალ პატიმრებს. [71] ამის საპირისპიროდ, პრევენციული ვიზიტით ირკვევა, რომ ქალი ბრალდებულების განსაკუთრებულად მოწყვლადი მდგომარეობა კვლავ არ არის გათვალისწინებული.

დაწესებულებაში ბრალდებულებს შიდა კლასიფიკაციის საკნებში, შემდგომ კი პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში ათავსებენ. ისინი 23 საათს ატარებენ საცხოვრებელ საკანში, სადაც ჰიგიენის დაცვის მწირი შესაძლებლობებია, არ არიან ჩართული არანაირ აქტივობაში და ხშირად 1 საათიანი გასეირნების უფლებით სარგებლობაზეც უარს აცხადებენ სასეირნო სივრცეებში სათანადო პირობების[72] არარსებობის გამო ამ პერიოდში, ფსიქოლოგთან ერთჯერადი გასაუბრების გარდა, არ მიეწოდებათ რაიმე სახის ფსიქო-სოციალური მხარდამჭერი სერვისი.

შესახლების პირველ დღეებში, მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ სატელეფონო ზარით და მაღაზიით სარგებლობისთვის, დაახლოებით ხუთი დღიდან 2 კვირამდე პერიოდში ელოდებიან საბანკო ბარათის დამზადებას. შესაბამისად, ვერ უკავშირდებიან ოჯახს, ვერ იძენენ ახალ საცვლებსა და ტანსაცმელს, პირადი ჰიგიენის ან სხვა მათთვის მნიშვნელოვან ნივთებს. ბრალდებულების ნაწილს რამდენიმე კვირის ან რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი არ აქვთ

[69] 2025 წლის 21, 22, 23 ივლისი.
[70] იხილეთ ამავე ანგარიშში ფიზიკური გარემოს თავი.
[71] ბანგკოკის წესები, წესი 13.
[72] სასეირნო ეზოების არასათანადო მოწყობის და გაუსაძლისი სიცხის გამო.

ტელევიზორი, რომელიც პატიმრებისთვის უმეტესად დროის გაყვანისა და ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალებაა.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **საჭიროების შემთხვევებში ბრალდებულები უზრუნველყოს სეზონის შესაბამისი ახალი ტანსაცმლით, საცვლებით**
- **მიიღოს ზომები ბრალდებულთა საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების დასანერგად და უზრუნველყოს მასში ბრალდებულთა ჩართვა**

4.4. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ კვლავ არ არის მიღებული პოზიტიური ზომები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ღირსეულ, თანაბარ პირობებში სასჯელის მოხდის უზრუნველსაყოფად. [73]

დაწესებულებაში შესახლებისთანავე, უცხოელი [74] და ქართული ენის არმცოდნე პატიმრები უკიდურესად მოწყვლად მდგომარეობაში არიან. არ მიეწოდებათ ინფორმაცია მათ უფლება-მოვალეობებზე[75], რაც კიდევ უფრო ამძიმებს ბრალდებულის ისედაც განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობას. შესახლების შემდგომ პერიოდში და ღია ტიპის კორპუსზე გადასვლის შემდეგაც ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები უცხოელ პატიმრებს ხელს უშლით, სრულყოფილად ისარგებლონ დაწესებულებაში არსებული სერვისებით [76] , უჭირთ დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაცია, მათ შორის, ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან და სამედიცინო პერსონალთან. გარდა ამისა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მწირია გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობებიც, ოჯახის სიშორის, ვიდეოპაემნის წესის და სატელეფონო და საფოსტო ტარიფების გამო. [77]

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სხვადასხვა აქტივობები, ქართული ენის არმცოდნე პატიმრები კვლავ ვერ ერთვებიან სარეაბილიტაციო აქტივობებში.[78] ქართული ენის საბაზისო ცოდნა აუცილებელი მოთხოვნაა იმისთვის, რომ ასეთი მსჯავრდებულები რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართონ. დაწესებულებაში პერიოდულად ხელმისაწვდომია ქართული ენის შემსწავლელი კურსი, კურსზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ყველა მასში ჩართვის მსურველი პირისთვის.

---

[73] ციხის ევროპული წესები 37.1.

[74] N5 დაწესებულებაში მიმდინარე წლის ივლისის თვეში 131 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი იყო.

[75] პატიმართა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია დაწესებულებაში მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოკრული.

[76] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, იხილეთ < https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf > [ბოლოს ნანახია: 17.10.2025].

[77] იხილეთ ამავე ანგარიშში თავი: გარე სამყაროსთან კონტაქტი.

[78] სარეაბილიტაციო აქტივობები ქართულ ენაზე ტარდება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია ასეთი კურსების დაწყებამდე მოხდეს ყველა უცხო ენოვანი პატიმრის ინფორმირება და ქართული ენის კურსი შესახებ და ყველა მსურველმა შეძლოს მასში დროულად ჩართვა. ზოგიერთი სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი ფლობს რუსულ ან ინგლისურ ენას და ჰქონიათ გამოცდილება, როდესაც ჯგუფური პროგრამა ინგლისურ ენაზეც შესთავაზეს მსჯავრდებულებს, რაც მისასალმებელია, თუმცა მნიშვნელოვანია ასეთ პრაქტიკას სისტემატიური ხასიათი ჰქონდეს.

ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა ენაზე საკითხავი მრავალფეროვანი ლიტერატურა. გარდა ამისა, უმეტესად ქართული და რუსულ ენოვანი სატელევიზიო არხებია. ინგლისურენოვანი არხებიდან მხოლოდ BBC არის ხელმისაწვდომი. სამწუხაროდ, მრავალფეროვანი სატელევიზიო არხების მიმღები ე. წ. ბოქსი უცხოენოვანი პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

საკნებში განთავსებისას, ზოგიერთ შემთხვევაში, არ ხდება უცხოელი პატიმრების ენობრივი საჭიროებების გათვალისწინება, ისევე როგორც რელიგიური და კულტურული ნიშნით გადანაწილება, რაც შეამცირებდა პატიმრობასთან დაკავშირებულ სტრესს, მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფდა პატიმართა სოციალიზაციას და კონფლიქტური სიტუაციების პრევენციის კუთხით კეთილსაიმედო პირობებს შექმნიდა.

იმ ფონზე, როცა დაწესებულება არ უზრუნველყოფს პატიმრებს ახალი ტანსაცმლითა და საცვლებით, არასაკმარისი პერიოდულობით რიგდება ტუალეტის ქაღალდი და საპონიც კი, პენიტენციური დაწესებულების დებულებაში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმად აიკრძალა საფოსტო ამანათები[79], განსაკუთრებით რთულ პირობებში უცხო ქვეყნის მოქალაქეები ჩააყენა, ვინაიდან ტანსაცმლისა და საჭირო ნივთების მიღების ერთადერთი გზა საფოსტო გზავნილი იყო. დაწესებულების მაღაზიაში კი ტანსაცმლის მწირი არჩევანია და ფასები მაღალია.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ. ასევე უფლებების შესახებ ინფორმაცია ბროშურის სახით მიეწოდოთ დაწესებულებაში ახალ შემოსახლებულ უცხოენოვან პატიმრებს**
- **უცხოენოვანი მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მიზნით უზრუნველყოს 2025 წელს ყველა იმ პატიმრის აღრიცხვა, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთან, უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას შესაბამისი ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის**

[79] გარდა ფოტოსურათისა.

საკითხი. ასევე, შესაძლებელია დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების გადამზადება, რომ მათვე შეძლონ ქართული ენის არმცოდნე პატიმრებთან ქართული ენის შემსწავლელი კურსის ჩატარება

- უზრუნველყოს N5 პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკის მარაგის განახლება სხვადასხვა ენოვანი ლიტერატურით

რეკომენდაცია N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს:

- საკანში განთავსებისას მხედველობაში მიიღოს ენობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული თავისებურებები